საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ჟუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი: ირინე არჯევანიძე,
ფილოლოგიის დოქტორი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

პროგრამა მიზნად ისახავს, შეასწავლოს არაქართულენოვან სტუდენტებს სახელმწიფო ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.) განსაზღვრულ B2 დონეზე, რათა სრულყოფილად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში (შეძლონ ქართულ ენაზე სწავლა საბაკალავრო პროგრამებზე).
სემესტრის დასაწყისში ტარდება ენის ცოდნის დონის დასადგენი წერითი, კითხვითი და ზეპირი ტესტირება(გასაუბრება), რომლის შედეგების მიხედვით სტუდენტები განაგრძობენ სწავლას შესაბამისი დონის ბლოკში.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

1. არაქართულენოვან სტუდენტებს შეასწავლოს სახელმწიფო ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 დამტკიცებულია

საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს) განსაზღვრულ B2 დონეზე, რათა სრულყოფილად შეძლონ საბაკალავრო საფეხურის სასურველ პროგრამაზე სწავლის ქართულ ენაზე გაგრძელება.

2. გამოუმუშავოს სტუდენტს ქართულ ენაზე მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუცირების უნარი;
3. შეძლოს ქართულ ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისათვის გამოყენება; საკუთარი მოსაზრებების წერით და ზეპირად გადმოცემა;
4. ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.
5. დაეხმაროს არაქართულენოვან სტუდენტებს, ქართულ აკადემიურ საზოგადოებასა და სოციუმში ინტეგრირებაში, რათა მათ იგრძნონ თავი მულტიეროვნული სახელმწიფოს სრულფასოვან წევრებად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნისა და რეგიონის სოციალურ განვითარებაში.

დაშვების წინაპირობა:

- ✓ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტის მშობლიურ ენაზე წარმატებით ჩაბარება;
- ✓ უცხოელი მოქალაქეები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლების ხანგრძლივობა – 2 სემესტრი.